



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო

8 აგვისტო, 2016

ეკონომიკა


ტურიზმი: შსს-ს ინფორმაციით 2016 წლის ივლისში საქართველოში შემოსული ვიზიტორების რაოდენობა წინა წლის ივლისთან შედარებით 3.5%-ით გაიზარდა და 0.76 მლნ ვიზიტორი შეადგინა. ამასთან, მთლიანი ვიზიტორების ზრდის ტემპის შენელება განპირობებულია სასაზღვრო გამშვები პუნქტი „ყაზბეგი“-ს დროებითა შეფერხებამ. აღსანიშნავია, რომ ტურისტების რიცხვი 15.8%-ით გაიზარდა და 0.4 მლნ შეადგინა. 2016 წლის ივლისში ყველაზე მეტი ვიზიტორი შემდეგი ქვეყნებიდან შემოვიდა: აზერბაიჯანი (+4.4% წ/წ), სომხეთი (-7.4% წ/წ), თურქეთი (-7.9% წ/წ), რუსეთი (-2.7% წ/წ), ირანი (+575.3% წ/წ) და უკრაინა (+18.4% წ/წ); ივლისში ამ ქვეყნების წილი მთლიანი ვიზიტორების რაოდენობის 86.1% იყო. 2016 წლის 7 თვეში, ვიზიტორების რაოდენობა გაიზარდა 10.6%-ით და 3.4 მლნ ვიზიტორი შეადგინა.

ინფლაცია: საქსტატის თანახმად, 2016 წლის ივლისში წლიურმა ინფლაციამ 1.5% შეადგინა. ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი ზეგავლენა იქონია ფასების მატებამ შემდეგ ჯგუფებში: ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო (+13.1%), საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია და აირი (+6.1%) და ჯანმრთელობის დაცვა (+4.1%). ამასთან, ფასები 8.6%-ით შემცირდა ტრანსპორტის კატეგორიაში, რაც ძირითადად განპირობებული იყო სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე ფასების კლებით. 2016 წლის ივლისში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ 0.2% შეადგინა. თვის ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი ზეგავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებში: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (-0.4%) და ტრანსპორტი (+1.3%).

საერთაშორისო რეზერვები: საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, 2016 წლის ივლისში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები წინა წელთან შედარებით 409 მლნ აშშ დოლარით (+16.7%) გაიზარდა, ხოლო წინა თვესთან შედარებით არ შეცვლილა. რეზერვების ზრდაზე ზეგავლენა მოახდინა კომერციულ ბანკებთან ოპერაციებმა.

ბიუჯეტი: 2016 წლის ივლისში, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა 803 მლნ ლარი შეადგინა, რაც 5.5%-ით არის გაზრდილი წინა წლის ივლისთან შედარებით. ამასთან, 2016 წლის 7 თვეში საგადასახადო შემოსავლებმა 4.96 მლრდ ლარი შეადგინა (+8.4% წ/წ).

საერთაშორისო ვიზიტორები საქართველოში



წყარო: შსს

ეკონომიკური ინდიკატორები

	7M16	2015	2014
მშპ (%-ლი ცვლილება)	2.9% ⁽²⁾	2.8%	4.6%
მშპ ერთ სულზე (ppp)	...	9,566	9,209
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	...	3,743	3,676
მოსახლეობა (მლნ)	3.7 ⁽¹⁾	3.7 ⁽¹⁾	4.5
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	1.5%	4.9%	2.0%
რეზერვები (მლრდ აშშ \$)	2.9	2.5	2.7
მიმდინარე ანგარიშის	13.1% ⁽³⁾	11.8%	10.6%
დეფიციტი (მშპ-ს %)	...	3.8%	3.0%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	...	3.8%	3.0%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	...	41.5%	35.5%


წყარო: ოფიციალური მონაცემები

(1) მოსახლეობის აღწერის წინასწარი შედეგები

(2) 2016 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით

(3) 2016 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

შენიშვნა: 2Q16-ს ზრდა მოცემულია წინასწარი შეფასებით

საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში, 2016

ბიზნესის კეთების სიმარტივე №24 (რეგიონის ლიდერი)
ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №23 (ძირითადად თავისუფალი)
გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №66 (გაუმჯობესებული ტენდენცია)

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD & POOR'S BB- Stable Affirmed Nov-2015	Moody's INVESTORS SERVICE Ba3 Stable Affirmed Mar-2016	FitchRatings BB- Stable Affirmed Apr-2016
--	---	---

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები




ფულადი ბაზარი

რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 600 მლნ ლარის (255.6 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2016 წლის 3 აგვისტოს 2-წლიანი 30 მლნ ლარის (12.8 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 7.208% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2016 წლის 10 აგვისტოს, სადაც 1-წლიანი 45 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

სადაბოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სეზ


მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: სეზ

შენიშვნა: ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2016 წლის 7 სექტემბერს შედგება.

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას.




ობლიგაციები

კორპორატიული ევრობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევრობლიგაციები (BGEOLN) დაიხურა 5.8%-იანი შემოსავლიანობით, ფასით - 100.9 (+0.3% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევრობლიგაციებით (GEOROG) ვაჭრობა დაიხურა ფასით - 104.3 (+0.18% წინა კვირასთან შედარებით), 5.7%-იანი შემოსავლიანობით, ხოლო საქართველოს რკინიგზის ევრობლიგაციები (GRAIL) ივაჭრებოდა 111.5 ფასად (-0.2% წინა კვირასთან შედარებით), 5.5%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევრობლიგაციები (GEORG) დაიხურა ფასით - 111.3 (+0.1% წინა კვირასთან შედარებით), 4.2%-იანი შემოსავლიანობით..

ევრობლიგაციები (შემოსავლიანობა %)



წყარო: ბლუმბერგი


	ადგილობრივი ობლიგაციები					ევრობლიგაციები				
	Nikora 03/18	GWP 11/17	M2RE 03/17	EVEX 05/17	GLC 09/17	GEOROG 04/21	GEOROG 05/17	BGEOLN 07/23	GEORG 04/21	GRAIL 07/22
მოცულობა, მლნ აშშ \$	5	6*	20	15	10	250	53	350	500	500
გამოშვების თარიღი	მარ-16	დეკ-15	მარ-15	მაის-15	სექ-14	აპრ-16	მაის-12	ივლ-16	აპრ-11	ივლ-12
დაფარვის თარიღი	მარ-18	დეკ-17	მარ-17	მაის-17	სექ-17	აპრ-21	მაის-17	ივლ-23	აპრ-21	ივლ-22
კუპონი, %	11.000	15.000**	9.500	9.500	8.750	6.750	6.875	6.000	6.875	7.750
(Fitch/S&P/Moody's)	-/-/-	BB-/B+	-/-/-	-/-/-	-/-/-	BB-/B+	BB-/B+	BB-/B1	BB-/BB-/Ba3	BB-/BB-/
საშუალო ფასი, აშშ \$	100.0	100.0*	101.6	101.9	100.7	104.3	101.9	100.9	111.3	111.5
საშუალო %	11.0	15.0	7.8	7.8	8.3	5.7	4.3	5.8	4.2	5.5
Z-spread, bps	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	456.0	338.5	456.9	305.7	425.0

წყარო: ბლუმბერგი

*GWP 11/17 მოცემულია ლარში

** მცურავი კურსი (სებ-ის რეფინანსირების განაკვეთის დამატებული 7.5%)

საქართველოს ევრობლიგაციების ბაზარი



წყარო: ბლუმბერგი

აღმოსავლეთი ევროპის 10-წლიანი სუვერენული ევრობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ქვეყანა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი, %	დაფარვის თარიღი	(Fitch/S&P/Moody's)	საშუალო ფასი, აშშ \$	საშუალო %	Z-spread, bps
საქართველო	500	6.875	4/12/2021	BB-/BB-/Ba3	111.3	4.2	305.7
აზერბაიჯანი	1,250	4.750	3/18/2024	BB+/-/Ba1	102.6	4.3	303.8
ბულგარეთი	323	5.000	7/19/2021	BBB-/B-	120.3	0.8	-201.7
ხორვატია	1,250	3.875	5/30/2022	BB/BB/Ba2	105.5	2.8	291.6
უნგრეთი	3,000	6.375	3/29/2021	BBB-/BB+/Ba1	114.7	3.0	182.9
რუმინეთი	2,250	6.750	2/7/2022	BBB-/BBB-/Baa3	119.9	2.8	163.4
რუსეთი	3,500	5.000	4/29/2020	BBB-/BB+/Ba1	107.5	2.9	178.0
თურქეთი	2,000	5.625	3/30/2021	BBB-/NR/Baa3 /-	106.7	4.0	288.8

წყარო: ბლუმბერგი




აქციები

BGEO ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 29.15 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) (+6.74% წინა კვირასთან შედარებით და +20.16% გასულ თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 213 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 26.06 – 29.15 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 51 ათასი აქცია შეადგინა, რაც გასული თვის მონაცემზე ნაკლებია. FTSE 250 ინდექსი, რომელშიც BGEO შედის, წინა კვირასთან მოიმატა 1.06%-ით ხოლო წინა თვესთან მოიმატა 8.37%-ით. ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.54% შეადგინა.


თიბისი ბანკის (TBCB LI) აქციები დაიხურა 13.00 აშშ დოლარში (-1.52% წინა კვირასთან შედარებით და +1.96% წინა თვესთან შედარებით). ბანკის გლობალური სადეპოზიტო ხელწერილებით (GDR) ვაჭრობის მოცულობამ 3 ათასს გადააჭარბა, US\$ 13.00 – 13.20 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 20 ათასი აქცია შეადგინა, რაც მეტია გასული თვის შესაბამის მონაცემთან შედარებით.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 3.00 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) (-1.96% წინა კვირასთან შედარებით და უცვლელი წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 71 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 2.95 – 3.10 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 24 ათასი აქცია შეადგინა. მოცემულ კვირაში ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.05% შეადგინა.


საქართველოს საფონდო ბირჟაზე აქციებით ვაჭრობა არ განხორციელებულა. შედეგად გალტ ენდ თაგერტის ინდექსი არ შეცვლიდა და 842.35 შეადგინა.



წყარო: ბლუმბერგი



წყარო: ბლუმბერგი



წყარო: ბლუმბერგი

აღმოსავლეთი ევროპის ბანკები								
კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპ., მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან	წ/წ ცვლ.	
BGEO*	BGEO	38.09	1,504	20.2%	27.8%	66.8%	53.1%	50.3%
TBC	TBC	13.00	651	2.0%	23.8%	41.2%	28.7%	30.7%
Halyk Bank	HSBK	4.80	1,319	2.0%	36.9%	18.5%	-3.0%	-38.6%
KKB	KKB	1.59	634	0.0%	-20.5%	76.7%	29.8%	-47.0%
VTB Bank	VTBR	2.01	13,019	-1.5%	-2.1%	11.3%	-4.7%	-9.3%
Vozrozhdenie	VZRZ	9.84	234	-0.6%	25.1%	23.9%	6.4%	20.2%
Sberbank	SBER	2.12	45,715	5.2%	14.7%	42.7%	37.0%	88.7%

წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: *BGEO ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) და მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში (US\$)

ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები								
კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპ., მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან	წ/წ ცვლ.	
GHG*	GHG	3.92	516	0.0%	54.3%	66.7%	93.5%	N/A
Mouwasat	MOUWASAT	37.57	1,878	9.4%	13.1%	19.4%	15.7%	0.8%
Fortis	FORH	2.83	1,310	18.5%	11.1%	12.4%	5.0%	-1.7%
Raffles	RFMD	1.14	1,997	-0.6%	0.4%	10.8%	11.1%	-1.7%
IHH	IHH	1.62	13,306	-1.1%	0.3%	-1.1%	-0.8%	6.9%
Bangkok Chain	BCH	0.37	918	7.5%	27.7%	47.4%	42.5%	84.3%
Netcare	NTC	2.31	3,373	2.8%	-7.7%	-6.3%	-6.0%	-22.0%

წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: *GHG ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) და მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში (US\$)



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როგა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: gt@gt.ge